საკონკურსო პროექტის განხილვა გერმანელ ექსპერტებთან ერთად.

2018 წლის 29 ოქტომბერს ექპერიმენტული კურსის თანახელმძღვანელები გერმანელი არქიტექტორები GEOBAY - ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ; არქიტექტორი, დოქტორი იორგ ჰეილერი, არქიტექტორი იაკობ ობერპილერი, შ.პ.ს. „ბაზალტ ფაიბერის“ დირექტორი გიორგი გოგოლაძე ესტუმრნენ ფაკულტეტს. მათი ვიზიტის მიზანი იყო საკონკურსო პროექტის „ახალი საზოგადოებრივი სივრცე (Urban Hub) ქ. რუსთავისთვის“ სტუდენტების მიერ შემუშავებული კონცეფციების განხილვა. პროექტების განხილვის შემდეგ გერმანელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს მასტერ კლასი საზოგადოებრივი სივრცეების დაგეგმარების თავისებურებებზე, კონკრეტულ პროეტზე თვითოეულ სტუდენტს გაუწიეს კონსულტაციები. არქიტექტორმა იაკობ ჰუბერმა სტუდენტებს ჩაუტარა ლექცია თემაზე ინოვაციური მდგრადი რევიტალიზაცია და კონტექსტი. ლექციის ბოლოს გაიმართა დისკუსია გერმანელ არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის. დიალოგი ძირითადათ წარიმართა საკონკურსო პროექტის ფარგლებში და შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა რას ნიშნავს საზოგადოებრივი სივრცე საქართველოსთვის? რამდენად კომერციული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცე თუ იგი უნდა მოიაზრებოდეს სივრცედ ყველასთვის. ასევე გარკვეული რეკომენდაციები გაეწიათ სტუდენტებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალი და ძველი ქალაქის დაკავშირების ხერხები, ქუჩათა ქსელის მოწესრიგება, რას ნიშნავს არქიტექტურული ფორმა პირამიდა და მისი როლი ქალაქის სივრცულ სტრუქტურაში, ობიექტი, როგორც სიმბოლო თუ ობიექტი, როგორც სოციალური ადგილი და საჭიროებს კავშირს საზოგადოებრივ სივრცესთან, როკორც კომუნიკაცია კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საზოგადოებრივი სივრცის ადგილი სატრანსპორტო გზის მიმართებაში, სხვა საზოგადოებრივ სივრცესთან და სხვა.

Workshop
"Rustavi City Lab:
Shaping Urban Transformation"

3. Impact Evaluation and
innovative, strategic projects
Revitalisation Process
Sustainability